სექსუალური უფლებები - ახალი ნიმუში სექსუალური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის მიმართ.

სექსუალური უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელიც დაკავშირებული სექსუალობასთან.

ადამიანის მრავალი უფლება პირდაპირ კავშირშია სექსუალურობასა და სექსუალურ ჯანმრთელობასთან. მაგალითად, თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება იცავს ადამიანს წამებისგან, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან.

პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება კი გულისხმობს ინფორმაციისა და განათლების მიღების უფლებას და იცავს დისკრიმინაციისაგან.

სექსუალურობა ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი და დადებითი ნაწილია. მაგრამ, ზოგიერთი ადამიანი საკუთარი სექსუალური უფლებების რეალიზაციისას სხვადასხვა ბარიერს აწყდება, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუშალონ მათ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სრულყოფაში.

ახალგაზრდები (მთელ მსოფლიოში) თავიანთ ცხოვრებაში აწყდებიან ისეთ სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია შიშთან, სოციალურ ბარიერებთან, უპატივცემულო მოპყრობასთან, კულტურულ და რელიგიურ დოგმებთან, რომლებიც ზღუდავენ მათ შესაძლებლობებს- იცხოვრონ ჯანსაღი და სრულყოფილი ცხოვრებით . ეს ბარიერები შეიძლება წარმოდგენილი (მაგრამ არა შეზღუდული) იყოს სექსუალურ და რეპროდუქტიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელიც განპირობებულია: საყოველთაო და მიუკერძოებელი განათლების, ინფორმაციისა და უფლებების არასაკმარისი ხელმისაწვდომობით; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში არასაკმარისი მომსახურების არსებობით; დაშინების და იძულების საფუძველზე დამყარებული სქესობრივი ურთიერთობების არსებობით. მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა ახალგაზრდების ინფორმირებაზე მათი უფლებების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განსაკუთრებული პოლიტიკის არსებობაზე, რათა მათთვის გასაგები იყოს თუ როდის ხდება მათი უფლებების დარღვევა.

ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ მხარდაჭერა, რათა თავდაჭერებულნი იყვნენ გადაწყვეტილებების მიღებისას, საკუთარ ცხოვრებასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სწავლისადმი დაქვეითებული უნარის მქონე ადამიანები, უფრო მეტად ხვდებიან სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ, ვინაიდან არ შეუძლიათ იმის შეფასება, თუ როგორი ქცევა არის არამართებული ან შეურაცხმყოფელი და არ იციან იმის შესახებ, რომ აქვთ „არას“ თქმის უფლება.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აივ ინფიცირებული ადამიანებისთვის, რომლებიც დაშავდნენ სამედიცინო დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დარღვევის შედეგად. მაგალითად, აივ ტესტირება თანხმობის გარეშე; კონფიდენციალურობის დარღვევა; ბავშვის არყოლის რეკომენდაცია აივ ინფექციის არსებობის გამო და აშ.

ასოციაცია ჰერა XXI-ის დირექტორი
ნინო წულეისკირი

www.hera-youth.ge www.youth-counceling.ge
ცხელი ხაზი: 0 365 2 07 22

ჰერა HERA XXI
ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა
HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE

IPPF International Planned Parenthood Federation
European Network

ასოციაცია ჰერა XXI-ის თანასწორი თანასწორს

ჩვენი, ახალგაზრდების, აქტიური ჩართვა სამუშაო პროგრამებში და მათი ცნობიერების დონის ამაღლება, გენდერული და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, ასოციაცია ”ჰერა XXI”-ის მთავარი პრინციპი და მიზანია.

სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით ვთანამშრომლობთ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათთან ერთად ვატარებთ თანასწორ განმანათლებლებთან შეხვედრებს, აქტუალური პრობლემების განხილვასა და პრინციპულ საკითხებზე მსჯელობას.

ასოციაცია ”ჰერა XXI”-ის და ასოციაცია ”GYDEA” -ს თანასწორ განმანათლებლების ძალისხმევით ჩატარდა, საზოგადოებისთვის აქტუალურ, გენდერულ საკითხებსა და არსებული სტერეოტიპების შესახებ ღონისძიება - ”თანასწორი თანასწორს” მეთოდოლოგიით. აღნიშნული მეთოდოლოგია აფართოებს ახალგაზრდების შესაძლებლობებს, აძლევს ისეთ პროცესებში მონაწილეობის მიღების საშუალებას, რომელიც უშუალოდ მათ ეხებათ და ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციასა და მომსახურეობას, რომელიც აუცილებელია საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად.

მეგობრულმა გარემომ საშუალება მოგვცა თავისუფლად და გულღიად გამოგვეხატა ჩვენი აზრი. ვისაუბრეთ არსებული სტერეოტიპების შემზღუდველ ბუნებაზე და იმ ფაქტებზე რაც რეალურად ჩვენს გარშემო ხდება.

კარგია, რომ ამ პროექტში ჩართვის საშუალება მიეცათ სხვადასხვა რაიონის აქტიურ და მოტივირებულ ახალგაზრდებს, რომლებიც მომავალში თავად ჩაატარებენ ანალოგიურ შეხვედრებს თანატოლებში, რაც დაგვეხმარება ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევაში, რომ ახალგაზრდების ცნობიერების და განათლების დონე, ამაღლდეს არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რაიონსა და თემებში მცხოვრებ მოსახლეობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ასოციაცია ჰერა XXI-ის ახალგაზრდული ინიციატივების ლიდერი
გვანცა ვარდოსანიძე

გენდერული მიდგომები საქართველოში

გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ რთული ვითარებაა. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ჩატარებული ეროვნული კვლევის თანახმად, საქართველოში ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-11-ე ქალი აღიარებს, რომ არის მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ქალთა 34% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას (გარკვეულ შემთხვევებში) დასაშვებად მიიჩნევს. ქალთა 50% ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება.კვლევა ქმრის ან, პარტნიორის მიერ ქალის კონტროლის სხვა ფორმებზეც ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, ქალთა 11%-ს ქმრის ნებართვა სჭირდება ექიმთან წასასვლელად, ქალთა 29% კი (იმის გამო, რომ ქმარი უკრძალავს) საკუთარ მშობლებთან ურთიერთობა არა აქვს.

ასოციაცია ჰერა XXI -ის მუშაობამ და მიზნობრივ ჯგუფებთან ჩატარებულმა დისკუსიებმა გამოავლინა გენდერული დისბალანსის ამსახველი ფაქტები, რაც შედეგია ამ საკითხებში ინფორმაციის დეფიციტის, არაინფორმირებულობის და განათლების დაბალი დონის. კერძო საუბრებიდან ირკვევა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მამაკაცი უარს აცხადებს კონდომის გამოყენებაზე მაშინ, როდესაც ის ინფიცირებულია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციით, ან როცა მამაკაცი მალავს საკუთარი ინფექციის შესახებ ინფორმაციას, რითაც ქალის ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებს და მის უფლებას (იყოს ინფორმირებული) სრულიად არღვევს. ერთ-ერთი ქალბატონის თქმით მისმა პარტნიორმა ძალა გამოიყენა, რომ იგი დაეინფიცირებინა. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა მამაკაცი უარს აცხადებს იმკურნალოს იმ მიზეზით, რომ არ სურს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სხვებისთვის ცნობილი გახდეს (რაც ვფიქრობთ, შედეგია კონფიდენციალობის დარღვევის ხშირი ფაქტებისა, რის ფონზეც ექიმის მიმართ ნდობის ხარისხი მცირდება).

საზოგადოების განათლების და ინფორმირების დაბალი დონის აღმოსაფხვრელად ასოციაცია ჰერა XXI ატარებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიებს, სემინარებს მოსახლეობის სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში კერძოდ: სოფლად მცხოვრებ ქალებთან; იძულებით გადაადგილებულ პირებთან; მოზარდ გოგონებთან და სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან.

ასოციაცია ჰერა XXI-ის ახალგაზრდული ინიციატივების ლიდერი
გვანცა ვარდოსანიძე

თანასწორ-განმანათლებელი
მარიამ კუპრეიშვილი

იცით თუ არა რომ?!

გენდერი - ეს არის ქალის და მამაკაცის სოციალური მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მის მდგომარეობას და როლს: საზოგადოებაში; ოჯახში; პოლიტიკურ სტრუქტურებში; ეკონომიკაში; კულტურაში და ა.შ.

გენდერი მთელი ცხოვრების მანძილზე ყალიბდება და მასზე დიდ გავლენას ახდენს მენტალიტეტი, განათლება და კულტურა.

ხშირად გენდერი და სქესი ერთმანეთში ერევათ



გენდერი მოიცავს არა მარტო იმ მახასიათებელ ნიშნებს და თვისებებს, რომლებსაც ჩვენ მამაკაცურად ან ქალურად ვთვლით, არამედ იმასაც, რის გაკეთებასაც მოელიან კაცებისა და ქალებისგან: რა როლისა და ამოცანების შესრულება ევალებათ მათ, როგორი ქცევაა მოსალოდნელი.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები, თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. ცხადია მასში არ იგულისხმება ქალისა და მამაკაცის იდენტურობა, პირიქით – დემოკრატიულ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს დაცული ყველა დონეზე.

გენდერული თანასწორობის მქონე საზოგადოებას ქმნის მამაკაცი და ქალი, როგორც თანასწორი პარტნიორები.

ასოციაცია ჰერა XXI-ის ახალგაზრდული ინიციატივების ლიდერი
გვანცა ვარდოსანიძე

ახალგაზრდული პროექტი - „See it, like it, share it"

ისტორია ერთი შეხედვით ძალიან ბანალურია და ყოველდღიური. ასოციაცია ჰერა XXI -ში კონსულტაციისთვის წყვილი მოვიდა. გოგონა ძალიან შეშინებული და დაბნეული ჩანდა, ბიჭიც ძალიან ღელავდა.

სტუდენტი გოგონა და ბიჭი - რომლებსაც ერთმანეთი შეუყვარდათ. შედეგი - ფეხმძიმობა, რომელსაც მშობლები სასტიკად ეწინააღმდეგებიან და აბორტის გაკეთებას ითხოვენ.თითქოს გადმოსაცემად მარტივია თუმცა სწორედ ეს სიმარტივეა მთავარი პრობლემა . ასეთი ისტორიები, შესაძლოა, ყოველდღე ხდება, საზოგადოება მას ისმენს, შეშფოთებას გამოთქვამს, განხილვის შემდეგ კი ყველა ივიწყებს და პრობლემა პრობლემად რჩება.

არასდროს დავფიქრდებით, არასდროს დავუსვამთ საკუთარ თავს კითხვებს: რა იწვევს ამ ისტორიებს? როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება? რა შედეგებს მოუტანს მათ აბორტი? და ყველაზე მთავარი, რატომ გახდა ეს ამბავი ასე ჩვეული ჩვენთვის, საზოგადოებისთვის და რისი გაკეთება შეგვიძლია?

პირველ რიგში, აუცილებელია ვაღიაროთ ჩვენი საზოგადოების არა ინფორმირებულობა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით.

სტიგმატიზირებული საზოგადოება და დისკრიმინაციის შიში ახალგაზრდას უბიძგებს გადადგას არასწორი და არაინფორმირებული ნაბიჯი. ასეთი ისტორიების სიმრავლემ გადაგვაწყვეტინა გადაგვეღო კლიპი „see it,like it, share it" პროექტის ფარგლებში რომლის სიუჟეტს საფუძვლად ამ წყვილის ისტორია დაედო, რომელიც პოზიტიურად დასრულდა პარტნიორის დახმარებით.

მაგრამ არის შემთხვევები როდესაც გოგონა სულ მარტო რჩება და დგამს გაუცნობიერებელ ნაბიჯს. ამიტომ, აუცილებელია ყველა ადამიანს ჰქონდეს ინფორმირებული არჩევანის უფლება და თავისუფლად და პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყვიტოს იყოლიოს თუ არა შვილი.

ყველა ახალგაზრდას აქვს უფლება!!!!!

გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი თავის სქესობრივ და რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით.

იხილეთ youtube http://www.youtube.com/watch?v=w29nEyHBWdc)-ზე ფილმი დამოუკიდებელი არჩევანი.

ასოციაცია ჰერა XXI-ის აივ პრევენციის ინიციატივების ლიდერი
მაგდა კოსტავა